

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საპატრიარქოს განათლების ცენტრსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის

ქ. თბილისი

17 ივნისი, 2022 წელი

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრი (შემდგომში - „განათლების ცენტრი“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, მიტროპოლიტი იოანე გამრეკელის სახით და შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი მისი რექტორის კახაბერ კორძაიას სახით

განათლების ცენტრი და უნივერსიტეტი ცალ-ცალკე მოხსენიებულნი როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად „მხარეები“.

მხარეები ერთობლივი ინიციატივებისა და ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ვთანხმდებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე.

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისათვის მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ საკითხებზე თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტების, სასწავლო-საგანმანათლებლო, სამეცნიერო ღონისძიებებისა და ინიციატივების განხორციელების გზით.

3. მხარეთა ურთიერთვალდებულებები

1. უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას:

3.1.1. განათლების ცენტრს მხარი დაუჭიროს სასკოლო საგანმანათლებლო პროცესში და უზრუნველყოს განათლების ცენტრის თანამშრომლებისა და მოსწავლეების ჩართულობა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო აქტივობებში.

3.1.2. უნივერსიტეტი განათლების ცენტრის დირექტორებისა და პედაგოგებისთვის განხორციელებს გადამზადების პროგრამებს და დამამთავრებელი (IX-XII) კლასის მოსწავლეებისთვის პროფორიენტაციის ტრენინგ-მოდულებსა და ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელ აქტივობებს, ასევე შემეცნებით საგანმანათლებლო პროექტებს.

3.1.3. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, განსაკუთრებული პირობების შეთავაზებას საპატრიარქოს განათლების ცენტრის რეკომენდაციით უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტებისათვის, მათთვის სოციალური და საგანმანათლებლო საკითხებში მხარდაჭერის მიზნით;

3.2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პირველ სასწავლო წელს სპეციალური სასწავლო დაფინანსებით (40% -იანი შიდა გრანტი) განათლების ცენტრის შემადგენლობაში შემავალი სკოლების კურსდამთავრებულებს, რომლებიც ჩაირიცხებიან კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ხოლო მეორე კურსიდან აღნიშნული დაფინანსების შენარჩუნება სტუდენტს შეეძლება მისი აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

3.3. განათლების ცენტრი უზრუნველყოფს აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეთა (მასწავლებელთა და მოსწავლეთა) ინფორმირებას, მოზიდვასა და ჩართულობას. ამასთან, განათლების ცენტრი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მხრიდან განხორციელებული რეგიონალური პროექტებისთვის სასკოლო სივრცეში მასპინძლობას.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა და შეწყვეტა

4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 3 წლის ვადით.

4.2. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

4.3. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, იმ პირობით, თუკი მეორე მხარეს წინასწარ, ერთი თვით ადრე, წერილობით შეატყობინებს მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ.

4.4. მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეები (მათი შესაძლებლობების ფარგლებში) ვალდებული არიან განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში დაწყებული ერთობლივი პროექტის დასასრულებლად.

5. ცვლილებები, შესწორებები და დამატებები

წინამდებარე მემორანდუმში ნებისმიერი სახის ცვლილება, შესწორება ან/და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხარეთა მიერ მისი წერილობითი გაფორმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში.

6. კომუნიკაციის ფორმა, მემორანდუმის ეგზემპლარები

6.1. მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით (ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

6.2. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“

ს/კ 201951637

მის: თბილისი, ჩარგლის N 73

რექტორი
კახაბერ კორძაია

საპატრიარქოს განათლების ცენტრი

ს/კ 204570071

მის: თბილისი, ერეკლე მეორის მოედანი #1

თავმჯდომარე
მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი
